№ 20 კვირა, 20 ივლისი. | ერთი წლით ჟურნალი ღირს 2 მ. 50 კ., ნახევარი წლით 1 მ. 25 კ. წერილები და ფული უნდა გამოგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Мухранская 12, для журнала „ЛАХТИ". | ფასი 5 კაპ. № 20



დილიჯნების მოძრაობა ტრამვაის მაგიერ ქ. ტფილისში.

გრძნობის სიმღერა...

(ვუძღვნი მგოს. ძალს ბ – ს.)

გაჰკარ სიმებს, „გრძნობის სიმებს“, — ააჟღერე ტრფობის ქნარი!
გამაგონე სევდის მგოსნის ხმა გრძნეული, ხმა ნარნარი ..
ვიშ, რა ხმაა! ششش...
ვიშ, რა ხმაა! ღმერთო ჩემო! —
მსურს ზვარაკად შეგეწირო ცხადლივ ქმნილო მძლე-ედემო! .
ვიშ, რა ხმაა! ششش...
— ამეტყველდნენ „გრძნობის სიმნი“!
ჰო, ჰო... ვიცან: ეს ჰიმნია... ეს ჰიმნია — შვების ჰიმნი! –

—

მღერის, მღერის... დიახ, მღერის აწ მგოსანი — იგი დედა:
უკვე მისი იდეალი რეალურად გაიჭედა...
— ეს შვილია, მისი შვილი, — მგოსან დედის განსახება:
მასში ჰპოვა თვის სრულ-ყოფა, მასში ჰპოვა... უკვდავება! —
ვიშ, ვიშ... ხედავთ: აგერ შვილი მგოსან-დედას ჩაეკონა!
დედაც, ლაღი და ამაყი, — თვის შვილს, ღვიძლ შვილს დაემონა!
დედა შვილის ქურუმია...
გაიხარე აწი, „ბალღო“:
მცველ ქურუმად მოგევლინა დედობრივი წმიდა ალღო! —
...მღერის, მღერის — კვლავაც მღერის აწ მგოსანი იგი დედა:
იმან თვისი იდეალი ხორც-შესხმულად გაიჭედა! .
გაიხარე, ზეასულო! გაიხარე ტკბილო დედავ!
წინაშე მაგ მძლავრ-ტრაპეზის აწ-ღა ლოცვად წარვსდგე, ვბედავ!
შენ — ქურუმი...
მე — მლოცველი...
ღმერთი — შვილი, შენი შვილი!..
აწ ორთავეს ფსალმუნს გიძღვნით მე — ცოდვილი...
მე — ცოდვილი...

—

გაჰკარ სიმებს, „გრძნობის სიმებს“, — ამეტყველე შვების ჩანგი!
დეე, მოსკდეს გულის-ფიცარს გულის მღრღნელი სევდის ჟანგი!
ვიშ, რა ხმაა! ششش . —
— ამეტყველდნენ „გრძნობის სიმნი“! —
ვიცან, ვიცან: ეს ჰიმნია... ეს ჰიმნია, — შვების ჰიმნი! —
და მეც შვებით ვევებები! . დე, აწ ვიგრძნო სიხარული! .
დე, აწ ვიგრძნო...
— რაო? რა სთქვი?! —
— „... სიყვარული — სი...ყვა...რუ...ლი!..“
— ღმერთო ჩემო!!...

სევ მუსერიძე.

ნავი ზღვაზედ

ზღვა აღელდა... სდუღს, ბობოქრობს, ნაპირს სცდება...
ზღვისა ტალღა გრგვინავს, მიჰქრის, ნავსა ხვდება;
ზღვის კალთაზე სცურავს ნავი მედგრად, ლაღად,
ტალღათ სრბოლის არ ეშინის, მას ვაგლახად.
ჰა!.. მის კედელს მსწრაფლ ეკვეთა ზვირთთ ლაშქარი
და ვერ დასძრა ხომალდთ-გმირი უშიშარი!..
ღელავს... სდუღს ზღვა... სტიქიონი კვლავ არ სცხრება...
მაგრამ ნავი უშიშარი, არ ემონვის. არ უღრკება.
მიჰქრის ნავი... მიჰქრის... მიჰქრის ღრეკელად,
გამარჯვების ნავთსაყოფელს მიესწრაფვის მოუთმენლად...

პ. ქარქაშაძე.

სიღარიბის მსხვერპლი

(სურათი სოფლის ცხოვრებიდან)

დილის ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც დესპინე ადგა, მიიხედ-მოიხედა, ოვალები მოიფშვნიტა და ცეცხლი აანთო, დადგა ზედ პატარა კეცი და ცოტა ხნის შემდეგ ჭადიც დააკრა.

შემდეგ მივიდა ლოგინთან, ნწოლიარე ბავშვს გადახედა და ნელის ხმით წარმოსთქვა:

— როდის იქნება შვილებო ის დრო, რომ თქვენ თქვენი შრომით თავს დაირჩენთ?.. ღმერთო! რა უკიდურეს მდგომარეობაში ვართ, რომ რამე გაუჩირდეს სიდოს, რა გვეშველება... რა გვახსნის... ყველანი ხომ წყალში ჩავცვივდებით .. ვინ იქნება ჩვენი პატრონი? ეხლა ცოცხალია საწყალობელი და თავს ძლივს ვირჩენთ და მაშინ კი...

დესპინე ამ ფიქრებში იყო გართული, რომ სიდოს გამოეღვიძა, ერთი გაიზმორა ლოგინში მიავლ-მოავლო თვალი იქაურობას და ადგა.

— დასწყევლოს ღმერთმა! მგონი კიდეც დაგვიანებულა.

— ადრეა, ადრე, ჩემო სიდო, საუზმე უკვე მზათ მაქვს, ჩაიცვი ტანზე, პირი დაიბანე და საუზმესაც გავაწყობ.

— საუზმე თვარა, ერთი სიტყვით ბეჭი არ მომიხარშო! რა არის ამისანა საუზმე, ცხელი ჭადი და ძაღლ-ძმარი. საწყალი კაცის გაჩენაში ღმერთი არ ურევია; მუდამ შრომაში ვართ და ჩვენ კი არაფერი არ გვრჩება, მაინც მშივრები ვართ. ჩემს სიცოცხლეში, ერთი ჭადის და ლობიოს მეტი არა მიჭამია რა.

— კაი შენ ნუ მომიკვდები, თუ მაგიც არ შემოგვაკდა, მაგასაც იყაბულებ. — მიუგო დესპინემ და ქმარს მომცინარის თვალით შეხედა.

— ჩვენთვისაც გათენდება ბრწყინვალე დღე, აგერ ოთხი ვაჟიშვი-

ლი გვყავს, მალე მოგვესწრება და შეგვეშველებიან ოჯახში. ეხლა კი ადექი, საუზმე ჭამე და დროც არის ყანაში წახვიდე.

—

სიდო იყო ოცდა რვა წლის კაცი, დაბალი ტანისა, შავი თვალების და შავ წვერ-ულვაშის პატრონი. თვრამეტი წლის იყო, რომ მშობლებმა ცოლი შერთეს და მალე დაწვრილშვილდა. გაუჩნდნენ: ოთხი ვაჟი და ორი ქალი. მშობლებიც მალე დაეხოცა, მთელი ოჯახი, მტერ-მოყვარე, სოფლის ათასნაირი მოთხოვნილება, მასთან წვრილი ცოლ-შვილი მოულოდნელად თავს დააწვა მძიმე ტვირთად და ძრიელ გაჭირვებაში ჩაგდო.

მის ქონებას შეადგენდა: ერთი ჩალით გადახურული ფაცხა, სამი თუ ოთხი სამფეხა სკამი, ძველი ლოგინი: ორი ლეიბი, ორი საბანი, ორი მუთაქა და ორი ბალიში. ყავდა აგრედვე ოთხი ქათამი და ერთი ღორი. იდგა პატარა ეზოში და საყანეთ ორი თუ ორ-ნახევარი ქცევა მიწა ჰქონდა. აი მისი ავლადიდება.

—

სიდო ყანაში იყო წასული, რომ სოფლის იასაული მოულოდნელად სიდოს ეზოში გაჩნდა. დესპინე იასაულის დანახვაზე ძრიელ შეწუხდა, რადგან იცოდა რომ უსაქმოდ არ მოვიდოდა იასაული. სტუმარს სამფეხა სკამი გამოუტანა, და მიიპატიჟა.

— ნუ ირჯებით, ჩემო ბატონო, თუ შეიძლება სიდოს უთხარი ერთი მნახოს.

— სიდო სახლში არ გახლავთ ჩემო ბატონო.

— სად წავიდა?

— ყანაში.

— მაშ რომ მოვა უთხარი, მაზედ რვა მანათი და თუთხმეტი შაურია შეწერილი, და უსათუოდ ხვალიზა დამახვედროს.

— უი ჩემი სიკვდილი! რის რვა მანათი და თუთხმეტი შაურია ჩემო ბატონო? ერთი თვეც არ არის რაც ხუთი მანეთი და ორი აბაზი გადავიხადეთ, ეხლა კიდევ სად შეგვიძლია ვიშოვნოთ?

— ეს მე არ ვიცი, სადაც გინდათ იქ იშოვნეთ, ჩემთვის სულ ერთია, მეკი უნდა ჩამაბაროთ.

ამ სიტყვების შემდეგ თავი დაუკრა იასაულმა დესპინეს და წავიდა.

ს. ლამოთი ძრიელ დაქანცული დაბრუნდა სიდო სახლში. დესპინემ ყოველივე უამბო, რაც იასაულმა დაუბარა. სიდოს ძრიელ ეწყინა ამ მოულოდნელი ფულის შეწერა და არც საღსარი ქონდა ფულის შოვნისა. უამისოდაც ვალში იყო ჩაფლული და ახალ ვალსაც აღარავინ ენდობოდა. ბოლოს საშინელმა ფიქრმა გაურბინა თავში და გადასწყვიტა თავის დახრჩობა.

საღამოს სიდოს ვახშამი არ უჭამია ისე დაწვა.

მეორე დღეს ადგა, ეზოში უგზო-უკვლოდ დაიწყო ხეტიალი. სადილის დრო იქნებოდა, რომ იასაული ორი ჩაფრით კვლავ ესტუმრა.

სიდო ზრდილობიანად მიეგება არა სასიამოვნო სტუმრებს და სახლში მიიპატიჟა.

— სიდო რა გითხრა იცი?—უთხრა იასაულმა.

— ბრძანეთ ბატონო.

— შენზედ არის შემოწერილი რვა მანეთი და თხუთმეტი შაური, მე გუშინაც ვიყავი აქა და თქვენს ცოლს დაუბარე. ეხლა შეჩერების დრო არა მაქვს, სხვაგან უნდა წავიდე საქმეზე.

— რა უნდა მოგცე, ჩემო ბატონო, ფული მე არა მაქვს და ქონება. აი ჩემი ქონება—და ხელით ფაცხა უჩვენა—დაარღვიეთ და წაიღეთ, მეტი საღსარი მე არ დამრჩენია-რა.

— კაცო ზღაპარს თავი დაანებე, ხომ იცი უნდა იშოვნო და მომცე? რა დროს მაგაზე ლაპარაკია? მეჩქარება, გესმის?

— თუ არა მაქვს რა მოგცე?

— სიდო ნუ ხარ ჟინიანი კაცი, უკეთესია რომ გადაიხადო—უთხრა მოთმინებიდან გამოსულმა იასაულმა.

სიდო ცეცხლივით აენთო, თვალები აემღვრა და შეჰყვირა ბრაზმორეულმა:

— არ გესმის კაცო, რომ გეუბნები არა გამაჩნია რა მეთქი!—სიდო სიბრაზისაგან ისე აირია, რომ თავდავიწყებას მიეცა და იასაულს მძლავრად მოუქნია ხელი გასარტყმელად, მაგრამ ჩაფრები მისცვივდნენ და დააკავეს. შემდეგ იასაულის ბრძანებით მამასახლისთან წაიყვანეს, რომელიც იმ ღამეს ბნელ ოთახში დაამწყვდიეს.

—

მთვარიანი ღამე იყო, ოდნავ ნიავი ქროდა და ხის ფოთლებს აშრიალებდა.

ყველა ღრმა ძილს მისცემოდა, მხოლოდ სიდოს და დესპინეს არ ეძინათ.

შუა ღამე იყო, რომ სიდომ მოახერხა ბნელი ოთახის კარების გაღება და გარედ გამოჭრა. გადაავლო თვალი წარმტაც ბუნებას და მწარედ წარმოსთქვა:

— ოხ, ცხოვრების ჩარხო! განა ამ დიად ბუნებას უნდა მოვშორდე სამუდამოდ და ამ სიტყვებთან სახლისკენ გაეშურა. მხოლოდ შიგ არ შესულა, გვერდზე ჩაუარა.

— მომიტევეთ შვილებო, რომ ვერ გპატრონობთ... მომიტევე დესპინე ჩემი დანაშაულობა...—ამ სიტყვებთან ერთად სიდო თავდავიწყებით გაექანა მდინარისკენ.

ის იყო თენდებოდა, იღვიძებდა ბუნება, ფრინველთაც მორთეს ჭიკჭიკი, ყველა ხარობდა, მხოლოდ ცხოვრებისაგან გაწბილებულ სიდოს გვამს მდინარის ტალღები შიგ იხუტებდა.

სელოს-ძმა.

სტვენს გულგული

მინდორ-ველი ფერადდება,
სტვენს ბულბული, ტკბილ ხმა, ნაზი;
მზის მწვავ სხივებს ლაღად ხვდება
ცა ლაჟვარდი, ცა ლამაზი...
მზემ სიცხოვლე მოიკრიბა,
აელვარებს ზურმუხტ-ლალებს,—
სხივებს სტყორცნის დედა მიწას
და ეხვევა ზღვის მკაცრ ტალღებს ..

ხევერიან-ხიმშელი.



წმიდა ოჯახი.

ხაშურის სცენა

რაცხა მეგრელის ნათქვამი რომაა: შარშან ჩემი შვილი ცხენს აქენებდაო და წრეულს ვერც კი შეჯდება ზედო,—სწორეფ ამფერათაა ხაშურის საქმე. ამ ორი წლის წინეთ რომ ჩასულიყავი, გადეირევოდი კაცი იმფერ ამბები იყო. აგერ წარმოდგენა იყო, აგერ პრაჟეკტორი, აგერ კლუბი, აგერ დუხოი მუზიკას გაქონდა ბრიწინ-ბრიწინი და სხვაი კიდო რამდონი ამისთანა კაი. ახლა რომ ჩახვიდე რას ნახავ უწინდელს? ტიატრი იმ ფერათ გოუყინავს რომე ვერც კვირკობის თვის მზეი გაპარეყიებს თვალებს. პრაჟეკტორს ავათმყოფობა დამართვია და მემუზიკეებმა სად უნდა დაეკრან, ტყეში დუუკრან და მაი ხალხისთვის აფერია.

ახლა ბატონო ქუჩის განათებას არ იკითხამთ? შარშან იმ ფერ იყო განათებული რომე ნევსს იპოვნიდი ქუჩაში, ახლა რომ ჩახვალ, უნდა დეიჭირო ხელში ჯოხი და იმით უნდა გეიგნო გზა, იმფერათ ბნელა შვა ქალაქში. ახლახანს მივაბლაცუნებდი ღამე გზაში, მივაწიე ხიდომდის, მარა მისთანა შენს მტერს, მე რომ იქინე მომივიდა. ვრეხვე თავი ხიდის მესერს, დასიხლიპინდა ფეხი და ხვლეპა მოვადინე შვა გულ წყალში. ამოვპარტყვუნდი იქიდან და წავფართხვუნდი მასპინძლისას. იქინე ყველამ სიცილი დეიწყეს, რა დაგემართა შე უბედუროვო? რაი და თქვენი ამობუგვა, ამოშპობა, ამოცოფება, ამოფორიაქება და თქვენი გატკლაცინება თქვა. ერთი კართოფილის სამთელს მაინც აანთებდით, რომ ხიდზე კაცს გეევლო თქვა. არა ყოლფერი ყოლფერია მარა რაი დაემართა აი მოწინავე ინტელიგენციას, ან რეიქნა სცენის მოყვარები? თუ გაწყვიტა შავ ჭირმა და გაწყდენ მთლად მაი ამბავი არაფელი არ გაგვიგია ხაშურში. მარა დრო კია, რომ აქაურმა ინტელიგენციამ სახე გაიწითლონ და თვალიც გამოახილონ დროით.

ალ. ძაძამია.

დრო

1

მთიდან წყარო მოჩუხჩუხებს
ეფინება ზურმუხტ მდელოს,
ტურფა არე გულში იკრავს
ამ ბუნების სადღეგრძელოს...

მელოდიურ ჰანგს აყღერებს,
სანეტაროს, სევდის მწველსა,
და მთას მთისა ზღაპარს უმღერს
საოცნებო ღიმის მგვრელსა...

ჰა, ფარვანა ყვავილთ შესტრფის
გარს ევლება ლამაზ ბუჩქსა,
ვერცხლის ნამი კოცნის იას,
მზის სხივებით დანაშუქსა...

2

დრო იცვალა, შესწყდა წყარო,
ჩადგა ბინდი, ჩაკვდა არე,
იამ მორცხვად დააფრქვია
მწველი სევდის ცრემლი მწარე...

კვნესის, მოსთქვამს ხევში ქარი,
ჰგოდებს, ცრემლს ღვრის მთა და ველი
და, ოხ, კვალათ მე დაჩაგრულს
თავს მეხვევა სევდა მწველი...

ტალლა.

ქანქარ რედაქტორი და მისი უგვირგვინო ცოლი

თეოფილაქე:

პოლიეკტო! ჩემთან მოდი და დანიგდე კარგად ყური:
ქანქარისთვის ვყეფავ და მაქვს „მათრახისა“ მე ფანდური;
სიცხისაგან არ ვიცოდი, რას ვბოდავდი მე უგნური,
ღირსი ვიყავ, რომ მომარტყეს „ლახტოსნებმა“ მე პანღური.
ბევახშობა და სიძუნწე თავიდან მაქვს მე ნახჭარი,
პაიებიც შევიძინე მოვაგროვე რა ქანქარი,—
გაიზარდა, გაფართოვდა შემოსავლის წიგნ დავთარი.
მოდი ერთად ვითარეშოთ შენ ცოლი და მე კი ქმარი.
მართალია, რომ წარსული შენი იყო ერთობ ცუდი
ავი ყოფა-ქცევისათვის გამოგაბეს ბევრჯელ კუდი,
თავს ლეჩაქი დაგახურეს, რა მოიძვრე კაცის ქუდი,
მომწონს შენი მოხერხება დროს მიხედვით რომ შებრუნდი.

პოლიეკტო:

რაც რომ ჩემგან შეიძლება, არ დავზოგავ შენთვის ღონეს
მაგ ოხრებმა ისტორია ჩემი ნეტავ სად იშოვნეს?
წარსულისა მოგონებით ერთობ ძრიელ დამაღონეს,
აწმყოშიაც გული დამწვა მაკრინე, რომ მომაგონეს.
მაგრამ ჩვენ მათ რას დავეძებთ, მოუგონოთ კვლავაც ჭორი,
„მათრახისა“ სიბინძურე დინგოთ ვჩიჩქნოთ ვითა ღორი,
პროვინციებში ვიშოვნოთ აგენტებათ ჩვენი სწორი
„ლახტი“ ერთიც არ გაყიდონ დააფარონ თვისი ტორი.

თეოფილაქი:

„ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა“, ორივე ვართ თანა-წორი,
მართალია რაც უთქვამენ: შენ „ლეში“ ხარ და მე მძორი
გამოვაცხოთ პროტესტები უგვანო და შორი-შორი
და ხელობად გავიხადოთ: ჭორი, ჭორი, ჭორი... ჭორი...

დიმელი.

სიტყვა ფულია

(სცენა)

ოჰანეზას და მარქარას გაასი.

ოჰანეზა: მარქარ, ახარ ერთი ყური მათხოვე, მამიშენის ცხონებას, ვერ უყურებ გაზეთებში რა ამბებია! ლამის კიდენ იწეწება ლაწყნარებული საქმეები. მე მეგონა, ეს-ეს არის გული-გულის ალაგას ჩადგა, ძველებურად საქმეები გამობრუნდა. მაგრამ დახე და! ლამის იმედები გაცრუვდეს, დადინჯებული საქმეები ისევ ირევა... გაფიცვა გაფიცვას მისდევს, ლამის ჩვენამდისაც მოაღწიოს კაცო! მთელ ღამეებს თეთრი თვალით ვათენებ, ძილი აღარ მეკარება, ათასნაირი ფიქრებმა მიტრიალებენ თავში, ჩემი ცოლი ოსანა ხომ მუშტის ოდენად დაილია რაც ამ გაფიცვებს ყური მოჰკრა. ძლივს დოვლათი ძველებურად დატრიალდა და ლამის არის ისევ ბარაქა წავიდეს, ეხ! (ამოიხვნეშებს) ვაი ამისთანა ყოფას, კაცს ქონებისაც ეშინოდეს! ვა ეს რაღა ცეცხლია, დროს მოიტანა!..

მარქარა: რას იზამ, ჩემო ოჰანეზ, თავს ხომ ცოცხლივ ვერ მოვიკლამთ და სულს საეშმაკოდ ვერ გავიხდით, ალბად ესე გვეწერა. კაცო, ფრანციული ან ნემენცკი ენა მაინც ვიცოდეთ, რომ გრანიცაში მოვაშოროთ თავი, სანამ ეს არეუ-

შურის ძიება

(რუსულიდან ნათარგმნი)

კარებზედ კაკუნი მოისმის.

— ვინა ხარ?

— გააღე!

— ამ დროს? რას ამბობთ? მე ვწვები ,იდეც. კარსეტი შემოვიხსენი, იუბკა გავიხადე, ცალ ფეხზე აბრეშუმის ჩულქი და...

— მაშ ნება მიბოძეთ მეორე მე გაგხადო.

— უზრდელი! წადი დაიკარგე აქედან.

— მე თვენ მიყვარხართ.

— აი ახალი ამბავი თუ გინდათ ეს არის! მე მინდა ვნახო ის, ვისაც არ შეუყვარდები.

— მე მზათა ვარ თქვენ სიცოცხლე შემოგწიროთ.

— გინდა იცოცხლეთ... გინდა მოკვდით, ჩემი რა საქმეა!

— მე ახალგაზრდა ვარ.

— მასთან სულელიც წადით მომშორდით.

— მე ლამაზი ვარ.

— მასთან თავ-ქარიანი. მოშორდით კარებს.

— მე მდიდარი ვარ.

— და სულელიც. თუ კარებს არ მოშორდებით, ეხლავე კივილს დავიწყებ.

— მე საყვარელი ვარ თქვენი ამხანაგი ნინოსი.

— ახ!—ღმერთო ჩემო, რატომ აქამდის არ მითხარით! მობრძანდით. გაულო კარები.

ონ-კანი.

ლი ხალხი მიწყნარდება, თორემ აქ ისეთი დრო დგება, რომ ხიფათ-მოფათის გამო ტერტერას ანდერძს უნდა ეუბნებოდე! ერთი თავზე ხელ აღებული ბიჭი გამოვა და პუპლუზ გაგაფუჭებს. პრასა ხომ არა ხარ, რომ ვირმა მოგძოვოს და ხელ-მეორედ ამოვიდე,!

ოჰანეზა: (ხმა მაღლა) სად წახ-ვალ, მარქარ, სადა! კრუგომ აყალ-მაყალია, დეპეშას რომ ვკითხულობ თმები ყალუზე მიდგება, ომი იწყე-ბა, ომი! ორი დიდი სახელმწიფო ერთმანეთს ეომებიან, დანარჩენებიც შიგ ერევიან შუა კაცებად, ვინ იცის რა მოხდება, ვინ!..

მარქარა: ახ! რამდენი ფული გა-იფლანგება უბრალოდ, ჯეელები რომ ვიყვნეთ სავაჭროდ წივიდოდით, იცით რა ფულს მოვიგებდით!.. ნე-ტა ჩემი რუბენა მოსწრებული მაინც მყავდეს! ახ, იცი რა ვაჭრობა და-ტრიალდება, ხომ გახსოვს რუს-ოს-მალოს ომი, ბევრი გამდიდრდა მა-შინ, ბევრი!..

ოჰანეზა: კაცო! შენ კიდენ გამ-დიდრებაზე ფიქრობ, ლამის ესეც ოხრად დაგვრჩეს, შენ სიცოცხლე ინატრე, სიცოცხლე!.. ომი რომ მეყურება აქ მეშინიან და იქ რა ზახრუმალა წამიყვანს! ერთიც ვნა-ხოთ ნაჰახათ რაშე მომხვდა მერე!..

მარქარა: ეს სულ ბაქოს ბრა-ლია, ბაქოსი; იქ რომ არ ატეხი-ლიყვნენ, ყველაფერი დინჯათ იქ ნებოდა, მაშინ იქნება არც ომი იქ-ნებოდა... კაცო! ეს თათრებიც, რომ იფიცებიან არ გეცინება ოჰანეზ?!. ხე. ხე, ხე, ხე!.. კაცო, ეხლა რაღა ხეირი იქნება, ორ გროშათ მუშა-ობდნენ, ორ გროშათ, ვინ იყო ხმის ამომღები, ეხლა კი ისინიც სხვებმა აიყოლიეს... იმ ჰარამზა.... უჰ, უჰ, უჰ... (ხველა აუტუდება) მახ ლას! ხეირი წავიდა, ეხლა ცხოვ-რება აღარა ღირს ჩემმა მზემ!..

ოჰანეზა: „გაზეთებმა გადარია ხა-ლხი, გაზეთებმა, ჯერ მე შევეჩვიე, მინდა აღარ წავიკითხო და მაინც დღეში ერთ შაურს ვაფუჭებ ხოლმე გაზეთში.

მარქარა: კაცს, ჩემო ოჰანეზ, რაც მეტი ეყურება იმდენი დარდი ემა-ტება, გაზეთი კაცს აგიჟებს, ასუ-ლელებს. კაცმა ვაჭრობის მეტი არა-ფერი უნდა იცოდეს, ვაჭარმა არის პირველი ვაჭარმა, გაზეთი-მაზეთი რა ჩვენი ხეირის საქმეა! სიტყვა ფულია —ფული!..

პეტრუზა.

მესტვირეული

(ბაძოსთვის*)

მოვიმარჯვე ჩემი სტვირი,
ილლიაში მისი გუდა,
ქალაქ ბაქოს მივჩანჩალდი,
ზოგიერთებს თუმც არ უნდა.
გამოვნახე სოვდაგრები,
ვისთვის არ ვარ საამური
და საქვეყნოდ გამოვფინე
მათი საქმე ხულიგნური.
ჯერ დავიწყობ ვაჭრებიდან,
ღვინო ვნახოთ იქ კახური,
გამგეთ არის აწყურელი
მსახიობი ნამსახური.
მან, რომ მუშა დაითხოვა
დიდი ხნისა ნამსახური,
გვიკვირს ძველად მოამაგეს,
რად დასჭირდა ეს ფაფხური?
ჩერქეზიშვილს რომ იამა,
სხვებს დაუდგა ამით ყური,
ასე უნდა ნასწავლიდან
მუშებისა სამსახური?!.
გავაფრთხილებთ ზოგიერთებს,
გაიწმინდონ სული გული,
თორემ „ლახტი“ ხელთ გვიპყრია
მიახდინოს სასწაული.

მაჯლაჯუნა.

ხაშურის ამბები

როგორც გავიგეთ ვ. ძ—ძეს თხო-ვნა მიურთმევია სადაც ჯერ არს და თხულობს მღვდლობას ადგილობრივ ეკლესიაში. სხვათა შორის თხოვნა-ში აღნიშნულია: მე აქაური ვარ და ჩემზე უპრიანია მღვდლობაო. თხო-ვნა შეუწყნარებიათ და დაუშვიათ გამოცდაზე, მაგრამ ვაი უბედურე-ბას! საწყალს არც ხუცური და არც სლავიანური კითხვა არა სცოდნია და ღამისოთ მღვდლობა შეუძლებე-ლია. ეხლა ემზადება მომავალ ეგ-ზამენისთვის და ვნახოთ რა იქნება.

—

როგორც მიკთხველებმა იციან დ. ხაშურიდგან ნიკო ს—ძე იყო გაგ-ზავნილი სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველ ყრილო-ბაზედ, ერთი კვირის შემდეგ ნიკოს წასვლისა ჟურ. „თეატრი და ცხო-ვრება“-ს № 15-ში ვკითხულობთ შემდეგ ამბავს, რასაკვირველია ნი-კოსავე მიერ გადაცემულს:

„ნიკო 20 წლის სცენის მოყვა-რეა, 20 წელია გაზეთებში თანამ-შრომლობს, არის ხაშურის და ქა-რთლის წარმომადგენელიო და სხ. ვინც იცნობდა ნიკოს ისინი კი სი-ცილით დაიხოცნენ წაკითხვის დროს, მაგრამ ვინ არ იცნობს რაც არის?! აშენებულა ქართლი თუ მართლა წარმომადგენელი ამის მეტი არა ჰყავს. რაც შეეხება 20 წლის სცე-ნაზე თამაშს, ალბად ბ-ნი ნიკო თითო თამაშს წელიწადათ ანგარი-შობს. თუ ასეა, მაშინ ალბად იქნე-ბა. აი ამაზე იტყვიან: „თავის ქება კიტრის ფასათ არ ღირს და კიტრი კი ორ კაპეიკათო“.

ნიორი.

პასუხები

კითხვა 1) რომელი მცენა არის ჩვენში დაურღვეველი?

პას. არც ერთი არ არის დაურ-ღვეველი.

კით. 2) ვინ მოიგონა ქართული ანბანი?

პას. ფარნაოზ მეფემ, ქრისტეს და-ბადებამდინ.

კით. 3) რა არის ქართველის და-უძინებელი მტერი?

პას. გადაგვარება და თავის თავის უარის ყოფა.

კით. 4) ვინ იყო პირველი მგო-სანი საქართველოში?

პას. ჩახრუხაძე თუ ის შოთა არ არის.

კით. 5) რა არის ყველაზე ულა-მაზესი საქართველოში?

პას. გაჩაფხული.

*) ვბეჭდავთ ავტორის პასუხისმგებ-ლობით.

რედ.

კით 6) რა არის ყველაზე უმახინჯესი?

პას. ღალატი.

კით. 7) დღეს ახალგაზრდა მგოსნებში პირველობას ვის აკუთვნებ?

პასუხი: მას, ვინც სამშობლოს კვარცხლბეკზედ დაიწვის.

ილია აგიაშვილი.

სატანას სიზმარი

კუდიანობის ოთხშაბათს გულის ძილში ვიყავი და საკვირველი რამ მესიზმრა: ერთი უცნობი და საზარელი კაცი მოვიდა დიდი ხმით დამიყვირა სატანავ! გაიღვიძე, წადი მიიარ-მოიარე და შემატყობინე სად რა ამბები ხდებაო. მეც შეშინებული წამოვარდი ლოგინიდან, ჩემი ბანჯღვლიანი კუდი მხარზე გავიმაგრე ფეხშიშველა და თვალების ფშენეტით გავსწიე ვაკისაკენ და იქიდან საბრუთალოზე უნდა გავსულიყავი, მაგრამ უცბად შევჩერდი, რადგანაც ხალხის ყრილობა დავინახე. სწრაფად სახე შევიცვალე, კუდი პერანგის ქვეშ ამოვიფარე და ისე შევიპარე ყრილობაში, რომ ვერც კი შემამჩნიეს.

უცბად ვნახე, რომ ფუჩეჩაშვილ ვანოს ნაგვიანი ცოცხი უჭირავს ხელში და ხალხს მიერეკება ცემატყეპით — კრება გვაქსო. მე ჩუმად ვიდექი და ყურს უგდებდი.

მაღლა ბორცვზე ავიდა არტისტი შაქრო და ხრინწიანი ხმით კრებას მიჰმართა: ბატონებო! ხომ იცით, რომ ჩვენ ტრიატს ვაღებთ, საკმაო ფული არა გვაქვს და მურალაშვილი და ბუკაშაშვილი ჩვენი ფულით ნაყიდ ადგილებს ყიდიან და ყურადღება მივაქციოთო. აი მე, ხუთი თუმანი მევეცი და თავი და ბოლო ვერ გავიგე მი-ღეს თუ არა! სულში ვიჩივლე და პანღურის კვრით გამომაგდეს, თურმე არაფერი არ მიუღიათ.

მერე ლაპარაკობს კ. მ—შვილი: იცით ბატონებო! მეც გულ-ნაკლული ვარ, ქესატობა ჩამივარდა და ლამის ბუზები ვულაპო და იმდენი უნდა უწერო გაზეთებში თოროზოვს, მურალაშვილს და მუკაშაშვილს, რომ სანამ მეც წილს მომცემენო. მე გულმა ველარ მომითმინა და ხელში ეკლიანი ლახტი მეჭირა და უჭირე და უჭირე მ—შვილს.

შემდეგ ლაპარაკობს ვანო ფუჩეჩაშვილი: ბატონნო მაცდურთა კრებავ, მიშველეთ, გული მიკვდება დარდისაგან! ჩემი ლოთი ძმა ადგილებს ჰყიდის სიცოცხლითვე და მე კი მეგონა მოკვდება და მე დამრჩება მეთქი! მურალაშვილთან წაველი უნდა შემეჩივლა ჩემი დარდი, მაგრამ ისეთი სილა მთხლიშა, რომ რალა გითხრათ. მე გადავწყვიტე ეს ამბავი „ლახტისთვის“ მეცნობებინა, რომ მასაც ეგემინებინა სიმწარე.

მერე ლაპარაკობს დაბალი ჩასუქებული სათვალებ წამოდებული კაცი, ბატონნო წყეულთა კრებავ! გემხრობით; მურალაშვილი, თოროზოვი და მუკაშაშვილი საზოგადო, საეკლესიო და სასაფლაო ადგილს ყიდიან და ჩვენთვის კი საჭიროა. ერთი „ლახტი“ იმასაც უცხუნე და უთხარი: საფლავი, რომ ახლო გქონდეს შენი სიმამრი დაგიბარებდა, რადგან არც შენა ხარ სწორი კაცი მეთქი. ვკარ წიხლი და სხვებთან ერთად ისიც გადავისროლე ჯოჯოხეთში.

ბოლოს ლაპარაკობენ: „პავლუშა“ და „ვანიჩკა“ ამათ ლაპარაკი ალარ დავაცალე, თითო ლახტი უცხუნე და მივაძახე: თქვენც არა ხართ წმინდა სულები, ხალხმა ერთი საქმე ჩაგაბარათ ვადაპრავოდის გაყვანა და ერთი ბუტკა რვა თუმანი დაუსვით, დანარჩენი კი ალახმა უწყის მეთქი. იმათაც ვთხლიშე ლახტი და ჩავყარე ჯოჯოხეთში.

ვერელი სატანა.

„ლახტოსანი“

სამტრედიაში

კვირა დღე იყო. დილით ადრე ავდექი, ტანთ ჩავიცვი, პარი დავიბანე და სადგურისაკენ გავემართე... სადგურზე მრავალი ხალხი ირეოდა. მატარებელი ტფილისიდან ბათომში მიმავალი უკვე გამოსულიყო და მებილეთე ბილეთებს ყიდდა. კასასთან ჟანდარმი იდგა და მგზავრებს რიგ-რიგობით აწესრიგებდა. აჰა, კიდეც მოატანა მატარებელმა და ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგან დღეს ველოდი ტფილისიდან „ლახტოსანს“. მატარებელი გაჩერდა სადგურზე, ლახტოსანს მოვკარი თვალი, მისი მკვეთრი ლახტი წელში გაერჭო და დამინახა თუ არა ჩემსკენ გამოექანა. ერთი-მეორეს სალამი მივეცით... მან გაზეთი მოითხოვა „სახ. ფურცელი“, ?აგრამ მე უთხარი: აქანა სამტრედიაში ყველა „აზრიანი“ ხალხია და გარდა „აზრისა“ არასფელი არ იყიდება მეთქი, ესეც რომ არ იყვეს, აქაურ აგენტს ისე ეჯავრება „სახ. ფურც.“ „იმერეთი“ „ლახტი“ და სხვა, რომ შეხედოს თუ არა ლამის გული შეუღონდეს. მან მე არ დამიჯერა და აგენტს შეეკითხა: „სახ. ფურც.“ არა გაქვს?

— არა... კი... ბ-ნო მაგრამ რათ გინდათ ისა, ის „სიმყრალის“ გაზეთია... აჰა გაზეთი და მოგვაჩეჩა ხელში „აზრი“ მაშინ კი ველარ მოითმინა ლახტოსანმა და იძრო თავის „ლახტი“ და ისე გადასცხო იმ სქელ ბეჭებზე, რომ სულ შენი ჭირიმე აძახებინა, აწი ალარ ჩავიდენ ასეთ სისულელეს, არ ვიცოდი თუ ის ლახტოსანი თქვენა ბრძანდებოდითო. . რომლის მოგონებაც კი შიშის ზარსა მგვრის... იქვე კუთხეში გაჩერებულიყო აქაური სახელგანთქმულ „საზოგადო (თუ საკუჭო) მოლვაწე“ „ბუკსი“ რომელიც შიშისაგან ისე გაშეშებულიყო, რომ ვერც ერთი ნაბიჯი ვერ გადადგა ვერც წინ და ვერც უკან. ეს შეამჩნია ლახტოსანმა და თვალით მკითხა რა კაციაო, მეც ვანიშნე რაც ბრძანდებოდა ბ-ნი „ბუკსი“ ლახტოსანმა კი იძრო „ლახტი“ და სცხო და სცხო სქელ მუცელზე და შემდეგ მეგობრულად დარიგება მისცა მას, მანაც სიტყვა მოგვცა: მე და ჩემიანები ჩვენს ბუნაგს გამოვიძებნითო... ლახტოსანმა კიდევ ბევრს აუცხუნა ზურგი, მაგრამ ამაზე შემდეგ.

შუ-შუ.

გამოცანა
(სამტრედიისათვის)

სიგძით არის ათი გოჯი
სიგანით კი ნახევარი,
გაიძვერას მაგისთანას
რომ იაროთ მთა და ბარი
ვერსად ნახავთ—არსად არი.
სულმდაბალი უტიფარი
სადაც წახვალთ იქ დაგხვდება,
ქანქარში და დანოსებში
მას ვერავინ შეედრება.
გენიოსათ თავი მოაქვს,
თუმც კი ჭკუით ბეცი არის,
რაც რომ საქმე ჩაიდინა
ჯერ ვერ გეტყვით, დრო არ არის.
რომ შეგხვდება შემოგცინებს
ვითომც კარგი მეგობარი,
მოგშორდება—მიწას გითხრის,
ხომ კი მიხვდით ვინც რომ არი?
ბევრმა იცის რაც შვილია
და ყველა სდუმს არვინ ამბობს,
ნუ თუ მისთვის რომ ხანდისხან
მშიერ მუცელს გამოუქლობს?
თუ ასეა,—„ლახტოსანო“
მო, ეწვიე მას მეგობრებს,
ზურგი „ლახტით“ შეუცხუნე
ნუ დაზოგავ ვაჟბატონებს.
და თან ყურში ის ჩასძახე
ნუ იფარვენ გაიძვერას,
სანამ „ლახტი“ იარსებებს
მათ არ მისცემს მოსვენებას.
მათ „მათრახი“ ვერ უშველის
ვინაიდან „ლახტმა“ იცის
ის თუ მალავს, მეორე კი
ეუბნება: აჩუ-ხიცის.

კოდარა.

მოწერილი ამბები

დ. ყვარილა. „ჩემპიონი“ ვაჭარი ტრიეფონ ნი—ძე ჭიდაობაში დამარცხების შემდეგ ძალიერ აკად გამხდარა რადაც უცნაური სენით. მთელ დღეებს და დამეებს სულ ბოდვაში ატარებს თურმე და საზარელი ხმით კაჭკივეს: არიქა მიშველეთო, „ვექსიდებიო“ პროტესტებიო, კასა მისი კლიტეო და სხვ. ჯერ-ჯერობით საქმეო დახმარებას უწევენ ვაჭრები; ილია მად—ძე და ვიქტორ გაზ—ძე.

ცნობილი „პროგრესისტი“ ვაჭარი (იგივე დაკნა) კა—ძე ივანის ეზოში მარილავს ცირკს **და** მოწვეული ჰყავს საუკეთესო ადგილობრივ „ცირკოფილი“ არტისტები და არტისტკები, ასე რომ პირველი წარმოდგენა კეთმართება ახლო-მომავალში და შესანიშნავ №-ბს უჩვენებენ საზოგადოებას როგორც მაგ; ბ-ნი ფარმაცევტ' ვ ტ—ძე შეძვრება დვინით სავსე რუმბში (ისე რომ არ ბეეკვრება ვიწრო უელში) და 5 წუთის განმავლობაში გამოწურავს „დო კაპლი“ შერე ისევ გამოძვრება ფხიზელად. ვაჭარი სამსონ შმა—ძე გამოჭუობს 260 არშინ ენას და საზოგადოების შეუმჩნევლად ისევ მსწრაფელ დამალავს. ქ-ნი „მინგრელკა“ ვერიჩკა გააკეთებს საუცხოო „სარტალ-მარტალს“, ნატალია კი იტაკვავებს საუცხოოთ „ტანგოს“ და სხვა და სხვა. მეთვალყურე.

ლანჩხუთი. ლანჩხუთელ, ფოთელ და ქუთაისელ დასელებს დაუდგენიათ შემდეგი: არ დაესწრონ „მამულიშვილთა“ პოეტების საღამოს, ლექციებს და არც წაიკითხონ ის გაზეთებიც კი სადაც ტოტალი მაინც პატიეისცემით იხსენიებენ „მამულიშვილებს“

აქ შესდგა მტაცებელთა სექტია, რომელიც საქმეს კარგად აწარმოებენ. ერთი ქალი უკვე გაიტაცეს. ლაბარიონ.

სუსხიანი ამგვეგი

◆ ამ დღეებში დიდი ნიადვარი მოვარდა „საღამოებისა“ და წალეკა ჩვენი ახალგაზრდა მგოსნები: ი. გრიშაშვილი, ნ. ჩხიკვაძე, ს. ფაშალიშვილი, ი. მჭედლიშვილი, გ. ქუჩიშვილი და მრავალნი სხვანი. განსვენებულ მგოსნების სულის მოსახსენებლად დღეს ნასადილევის 3 საათზე ქოსების ღვინის სარდაფში გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი.

◆ წარსულ კვირას დილის 11 საათზე ხარფუხის საზოგადო კლუბში (საზაფხულო შენობაში) შესდგა ლიტერატურული გასამართლება. გაასამართლეს კლუბის მამად წოდებული გ. შათირიშვილი: ბრალმდებლებად გამოვიდნენ დუმაბაძე და ჭყონიას გარდა რვა მამასახლისიც სხვა. ბრალდებულს იცავდნენ ყოფილი ვექილის თანაშემწედ ნამყოფი თ. ნასიძე და ყოფილი მსახიობი და ეხლა კი ავლაბრის თეატრის რეჟისორი ი. ივანიძე. ბრალდებულის „რეჩმა“ ორი საათი გასტანა. ბოლოს დამცველ ვექილებმა წარმოსთქვეს ძრიელ ცხარე სიტყვები, რომლის დროსაც თვალთაგან გადმოაფრქვიეს ცეცხლის მფრქვეველი ნწარე ცრემლები, რომლებიც მსწრაფელ ლეგიონ ზღვის ზვირთებად გარდაიქცნენ. აღელვებულ ზვირთებმა მსხვერპლად მხოლოდ ორი „ჩლენი“ შეიწირეს; ვ. გიგოშვილი და ერთიც უცნობი, რომლის ვინაობა დღესაც გამოურკვეველია.

გასამართლების დროს დებატებში მარტო მოსე ჯანველოვმა მიიღო მონაწილეობა.

წერილი რედაქციას

„ლახტის“ რედაქციას ვთხოვ ადგილი დაუთმოს ამ ცირე წერილს ბ-ნ ოკიჭიბის საყურადღებოდ.

ბ-ნო ოკიჭიბ! თქვენ მასახელებთ მე რწმუნებულად, ბოდიშს ვიხდი და უარს ვაცხადებ რწმუნებულობაზე. ჩემი ფიზიკური სისუსტის გამო დღესვე მივემგზავრები ლანჩხუთიდან საგარაკოდ.

პატივისცემით კოკი ტბრალიძე



ქ. ტფილისის განაპირა ქუჩები.

ტფილისი სტამბა „შრომა“ მუხრანის 1. რედაქტორ-გამომცემელი დ. მელაშვილი.